ცენტრალური ოფისი
მისამართი: თბილისი, კრილოვის ქ. №15, ს. ი. 0102
ტელ.: (995 32) 936101 / 952353
ფაქსი: (995 32) 923211.
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
მისამართი: ნინოშვილის ქ. №3, ს.ი. 4600
ტელ.: (231) 41192
ფაქსი: (231) 46523
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

ბათუმის ფილიალი
მისამართი: ფარნავაზ მეფის ქ. №116, ს.ი. 6000
ტელ.: (888222) 76668, 73332
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი
მისამართი: სტალინის ქ. №18/3, ს.ი. 4600
ტელ.: (270) 79842, 73484
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი
მისამართი: კოსტავას ქ. №13/1, ს.ი. 3700
ტელ: (24) 155337, 157181
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი
მისამართი: ბარნოვის ქ. №3, ს.ი. 2200
ტელ: (250) 71371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი
მისამართი: გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. ?25/10, ს.ი. 3500
ტელ: (296) 63138
ფაქსი: 822001484/822001079
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი
მისამართი: რუსთაველის ქ. №29, ს.ი. 1810
ტელ: (246) 21554
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუ-მენტაციო ცენტრი

მისამართი: თბილისი, 0105, რუსთაველის გამზ. 1, V სად., IV სართ., ბინა 68.
ტელ.: (995 32) 99 04 02; (995 32) 45 45 32
ფაქსი: (995 32) 99 08 01
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-გვერდი: www.hridc.org
www.HumanRights.ge

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი
ცენტრალური ოფისი
მისამართი: თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. №3
ტელ.: 922561, 922566
ელ-ფოსტა: cpcr@caucasus.net

გორის ფილიალი
მისამართი: გორი, ლერმონტოვის ქ. №9
თელავის ფილიალი
მისამართი: თელავი, ბიბერახის ქ. №3

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი

ცენტრი ადამიანის უფლებების დაცვას ახორციელებს გენდერული თანასწორობის, რელიგიური თავისუფლების, ეთნიკური უმცირესობების უფლებების კუთხით.
მისამართი: ივ. მაჩაბლის ქ. №5, პირველი სართული
თბილისი, 0105, საქართველო
ტელ.: (995 32) 999 987, (995 32) 923 920
ფაქსი: (995 32) 939 178
ელ-ფოსტა: iccn@iccn.ge
ვებ-გვერდი: www.iccn.ge

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი (ძდექ) იურიდიულ კონსულტაციას გასცემს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით.

მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქ. №72.
ცხელი ხაზი: 26 16 27
ელ-ფოსტა: antivionce@AVNG.ge

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
www.choj.gov.ge

E-mail council@hcoj.gov.ge


გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება" (GTZ),
Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

GTZ-Office Tbilisi 41,Shartava Str, 0146, Tbilisi Georgia

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების **GTZ** ფინანსური მხარდაჭერით


2008©

# სანამ საქმე სასამართლო პროცესამდე მივა სამართლებრივი კონსულტაცია



## სამართლებრივი კონსულტაციის რაობა და მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ამასთან განამტკიცებს ყოველი ადამიანის უფლებას, თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს.

სასამართლოსათვის მიმართვა გარკვეული ფორმალური წესების დაცვას მოითხოვს, ამასთან სასამართლოსათვის მიმართვა არ ნიშნავს იმას, რომ წარდგენილი მოთხოვნა უფლების აღდგენის თაობაზე ავტომატურ რეჟიმში დაკმაყოფილდება. მართლმსაჯულება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ჩარჩოებშია მოქცეული. ამასთან, პროცესი შეჯიბრებითია და სასწორი იმ მხარისკენ იხრება, რომელსაც მეტი ფაქტების წარდგენა შეუძლია, მეტი მტკიცებულებები აქვს ხელთ და მტკიცე სამართლებრივი არგუმენტები გააჩნია. შეჯიბრებითობის ხასიათიდან გამომდინარე, თუ ჯეროვნად არ განხორციელდება დარღვეული უფლებების დაცვა, შესაძლებელია მხარის კანონიერი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს და მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი. ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შესრულებულ იქნეს სასამართლოს მოთხოვნები და საპროცესო კანონმდებლობის დებულებები.

ხშირ შემთხვევაში უფლების სასამართლოს მეშვეობით დაცვა კარგ სამართლებრივ ცოდნას მოითხოვს და თუ მიმართვის ინიციატორი დამოუკიდებლად, სათანადო განათლების მქონე პირის ჩარევის გარეშე გადაწყვეტს დარღვეული უფლებების დაცვას, შესაძლოა არამომგებიან პოზიციაზე აღმოჩნდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით საუკეთესო გადაწყვეტილებაა სასამართლოში სარჩელის შეტანამდე კომპეტენტურ პირებთან სამართლებრივი კონსულტაციის გავლა.

კონსულტაციის შედეგად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია:

- სასამართლოსათვის მიმართვამდე წინასწარ შეფასდეს, დასაშვებია თუ არა მოცემული უფლების სასამართლო წესით დაცვა, რათა დროულად აღდგეს დარღვეული უფლება
- ყველა ფაქტობრივი გარემოების აღწერის, მათი დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების შეკრებით და სამართლებრივი არგუმენტების მოძიებით განისაზღვროს დავის გადაწყვეტის სავარაუდო შედეგი
- შემუშავდეს და სწორად დაიგეგმოს კონკრეტული უფლების სასამართლო წესით დაცვის მომგებიანი ტაქტიკა
- განისაზღვროს უფლების სასამართლოს მეშვეობით დაცვის ფასი

## ვინ ატარებს სამართლებრივ კონსულტაციას და რა ღირს ის?

სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა საადვოკატო საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. მას ადვოკატი ახორციელებს და გულისხმობს დაინტერესებული პირისათვის იურიდიული რჩევის მიცემას.

ადვოკატის არჩევაში ნებისმიერი პირი თავისუფალია, გაწეული საადვოკატო საქმინობის ღირებულება კი მხარეთა (ადვოკატისა და კლიენტის) შეთანხმების საფუძველზე დგინდება.

## რა შეღავათები არსებობს სახელმწიფოს მხრიდან?

საზოგადოების იმ წევრის იურიდიულ დახმარებას, რომელსაც შეზღუდული მატერიალური მდგომარეობის გამო არ შეუძლია საკონსულტაციო საფასურის გადახდა (ადვოკატის დაქირავება), უზრუნველყოფს სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით. აღნიშნული სამსახური საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

იურიდიული დახმარების სამსახური საკონსულტაციო მომსახურებას ახორციელებს ოზურგეთის, ამბროლაურისა და ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შექმნილ იურიდიული დახმარების ბიუროებში, რომლებთან არსებულ საკონსულტაციო ცენტრებში საქართველოს ყველა მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ არა უმეტეს ერთი საათის ხანგრძლივობის უფასო კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე. ამასთან, პირს იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია ნებისმიერ საკონსულტაციო ცენტრში, საცხოვრებელი ადგილისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

## იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ნუსხა:

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №, მე-3 სართული
ტელ.: 623324; 895 364410

**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №61
ტელ.: 895 901 705

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: გორი, ხერხეულიძის ქ. №7
ტელ.: 895 901 704

**ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: რუსთავი, კოსტავას გამზ. №31
ტელ.: 895 901 706

**კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ.: 895 901 707

**იმერეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: ქუთაისი, ბუხაიძის ქ. მე-2 მ/რ №26
ტელ.: 895 901 700

**იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ზესტაფონის განყოფილება**
მისამართი: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ.: 8 (292) 40250, 895 364441

**აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: ბათუმი, ბერიძის შესახვევი №14
ტელ.: 895 901 701

**სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიურო**
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №22
ტელ.: 895 901 702

**სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიუროს ფოთის განყოფილება**
მისამართი: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №31
ტელ.: 895 901 703

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი**
მისამართი: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
ტელ.: 895 30 88 49

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
მისამართი: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ.: 895 30 88 47

## არასამთავრობო ორგანიზაციები და უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა

გარდა სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლებრივი დახმარების სისტემისა, უფასო სამართლებრივი კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მოქმედი უფასო იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში:

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრი საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უწევს როგორც სატელეფონო, ისე პირად უფასო იურიდიულ კონსულტაციას. აღნიშნული ხასიათის საქმიანობას საია ახორციელებს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში შემდეგ მისამართებზე: